ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №849473

ნომერი: AR1152725

თარიღი : 07.08.2013

გაცემის თარიღი : 16.08.2013

გაცნობის თარიღი : 16.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მახათაძე პ/ნ 01025005347
- დიდი დიღომი, მ/რ4 კორ.12, ბ.50

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 814644
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 31.07.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ჟვანია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით მახათაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01025005347

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1000.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 652.38
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 616.7
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 40.49
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 571.01
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 5.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 740.32
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 740.32
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.24
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.24
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 652.38=0.65
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 652.38=0.65
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 347.62=0.34

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გამომდინარე იქედან, რომ არ არის დაცული სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებით დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზი, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას სრულად შეაფასოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გაცნობოთ შესაძლო ხარვეზები. აქედან გამომდინარე გიხარვეზდებათ ყველა შესაბამისი ველი ცვლილებების განსახორციელებლად.

1.სატიტულო ინფორმაცია. -> .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მიუთითეთ გაპის შესაბამისად - დამხმარე ნაგებობა (საწყობი)
2.სატიტულო ინფორმაცია. -> .ელექტრონული ფოსტა.: ქვედა ველებში მიუთითეთ საპროექტო ორგანიზაცია და საიდენტიფიკაციო კოდი
3.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: აღნიშნულ ველში უნდა მიუთითოთ შპს-ს დირექტორის სახელი და გვარი
4.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: აღნიშნულ ველში უნდა მიუთითოთ შპს-ს დირექტორის პირადი ნომერი
5.დამკვეთის ინფორმაცია. -> .ტელეფონის ნომერი.: აღნიშნულ ველში უნდა მიუთითოთ შპს-ს დირექტორის ტელ. ნომერი
6.დამკვეთის ინფორმაცია. -> .ელექტრონული ფოსტა.: აღნიშნულ ველში უნდა მიუთითოთ შპს-ს დირექტორის ელ. ფოსტა, ასევე ქვედა ველები შეავსეთ შესაბამისად (მიუთითეთ ორგანიზაცია და მისი საიდენტიფიკაციო კოდი)
7.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: არ არის დაცული განაშენიანების რეგულირების ხაზი 10მ. (იხ. გაპის თანდართული დოკუმენტაცია) გენგეგმაზე დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზი და ექსპლიკაცია, გასათვალისწინებელია რომ შენობები უნდა განთავსდეს საკადასტრო გეგმეზე მონიშნულ ტერიტორიის არეალში.
8.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: შესწორდეს შესაბამისად
9.განმარტებითი ბარათი. -> .განმარტებითი ბარათი.: განმარტებით ბარათში დაწვრილებით აღწერეთ ჩასატარებელი

სამუშაოების თაობაზე
10.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: გეგმებზე უნდა დაიტანოთ საკადასტრო საზღვრები და განაშენიანების რეგულირების ხაზი. წარმოსადგენია ყველა შენობის გადახურვის გეგმა. შენობა #1ზე ჭრილის ხაზზე დაიტანეთ მარკირება და მიმართულების მაჩვენებელი. გეგემბზე ასევე დასატანია ღიობები.
11.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: დასატანია საკადასტრო საზღვრები, ჭრილები შეუსაბამოა გეგმებთან.
12.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: გეგმები შეუსაბამოა ფასადებთან, დასატანია საკდასტრო საზღვრები
13.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : შესწორდეს ხარვეზების გათვალისწინებით
14.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა საჭიროა ატვირთოთ შემდეგი შემადგენლობით: გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილები; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ნიშნულის განსაზღვრით (ფორმულა H=L/Y) და მათი შემაერთებელი სხივის ჩვენებით

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.